European Data Protection Board

მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს ანგარიში 2024

პერსონალური მონაცემების დაცვა ცვალებად გარემოში

ანგარიშის სტრუქტურა

წინასიტყვაობა
მთავარი მიღწევები

1. მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს სამდივნო
1.1 მისია და აქტივობები

2. მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს აქტივობები 2024 წელს
2.1 თანმიმდევრული მოსაზრებები
2.1.1 ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 64-ე მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებით
2.1.2 ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 64-ე მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით

2.2 სახელმძღვანელო რეკომენდაციები
2.2.1 სახელმძღვანელო რეკომენდაციები 01/2023 კანონის აღსრულების დირექტივის (LED) 37-ე მუხლის შესახებ
2.2.2 სახელმძღვანელო რეკომენდაციები 02/2023 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციის დირექტივის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედების ტექნიკური ფარგლების შესახებ
2.2.3 სახელმძღვანელო რეკომენდაციები 01/2024 ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის “f” ქვეპუნქტის საფუძველზე პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ
2.2.4 სახელმძღვანელო რეკომენდაციები 02/2024 ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 48-ე მუხლის შესახებ

2.3 განცხადებები საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ
2.3.1 განცხადება 1/2024 საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, შემდგომში რეგულაციის წინადადება, რომელიც ადგენს ბავშვთა სექსუალური ძალადობის პრევენციისა და მასთან ბრძოლის წესებს
2.3.2 განცხადება 2/2024 ფინანსურ მონაცემებზე წვდომისა და გადახდების შესაძლებლობების შესახებ
2.3.3 განცხადება 3/2024 პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების როლის შესახებ „ხელოვნური ინტელექტის აქტის“ საკანონმდებლო ჩარჩოში

2.3.4 განცხადება 4/2024 ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ აღსრულების დამატებითი პროცედურული წესების მომწესრიგებელი ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ
2.3.5 განცხადება 5/2024 სამართალდამცავი ორგანოებისთვის მონაცემებზე ეფექტური წვდომის უზრუნველსაყოფად
2.3.6 განცხადება 6/2024 ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მეორე ანგარიშში გაცხადებული ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ხელშეწყობის შესახებ
2.4 დაინტერესებულ პირებთან კონსულტაცია
2.4.1 საჯარო კონსულტაცია სახელმძღვანელო რეკომენდაციებთან დაკავშირებით
2.4.2 ჩატარებული ღონისძიებები
2.4.3 გამოკითხვა სახელმძღვანელო რეკომენდაციების პრაქტიკული გამოყენების შესახებ
2.5 მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს წარმოდგენა მსოფლიოში

3. თანამშრომლობა აღსრულების სფეროში და აღსრულება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების მიერ
3.1 მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს აქტივობები ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ აღსრულების მხარდასაჭერად და თანამშრომლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებს შორის
3.2 თანამშრომლობა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ ფარგლებში
3.3 სავალდებულო გადაწყვეტილებები
3.4 მიღებულ გადაწყვეტილებათა მიმოხილვა
3.5 ეროვნული გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებულია შესაბამისი უფლებამოსილების გამოყენებით
3.6 პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა გადაწყვეტილებების სტატისტიკური მიმოხილვა
3.6.1 ავსტრია
3.6.2 ბელგია
3.6.3 ბულგარეთი
3.6.4 ხორვატია
3.6.5 კვიპროსი
3.6.6 ჩეხეთის რესპუბლიკა
3.6.7 დანია
3.6.8 ესტონეთი
3.6.9 ფინეთი

3.6.10 საფრანგეთი
3.6.11 გერმანია
3.6.12 საბერძნეთი
3.6.13 უნგრეთი
3.6.14 ისლანდია
3.6.15 იტალია
3.6.16 ირლანდია
3.6.17 ლატვია
3.6.18 ლიხტენშტეინი
3.6.19 ლიეტუვა
3.6.20 ლუქსემბურგი
3.6.21 მალტა
3.6.22 ნიდერლანდები
3.6.23 ნორვეგია
3.6.24 პოლონეთი
3.6.25 პორტუგალია
3.6.26 რუმინეთი
3.6.27 სლოვენია
3.6.28 ესპანეთი
3.6.29 შვედეთი

4. დანართები

4.1 2024 წელს მიღებული სახელმძღვანელო რეკომენდაციები
4.2 2024 წელს მიღებული თანმიმდევრული მოსაზრებები
4.2.1 ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 64-ე მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებით
4.2.2 ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 64-ე მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით
4.3 განცხადებები საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ
4.4 სხვა დოკუმენტები

მთავარი მიღწევები:

2024 წელი	განხორციელებული მოქმედებები
იანვარი	ერთობლივი აღსრულების ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრების შესახებ
თებერვალი	ერთობლივი აღსრულების მოქმედებების დაწყება წვდომის უფლების შესახებ მოსაზრება 04/2024 დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ძირითადი დაწესებულების ცნების შესახებ
აპრილი	მოსაზრება 08/2024 „თანხმობის ან გადახდის“ მოდელების შესახებ, რომლებიც გამოიყენება მსხვილი ონლაინ პლატფორმების მიერ 2024-2027 წლების სტრატეგიის მიღება
მაისი	მოსაზრება 11/2024 სახის ამომცნობი ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ საერთაშორისო საჰაერო სატრანსპორტო საშუალების მგზავრთა ნაკადის გასამარტივებლად
ივნისი	მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს ახალი მოადგილის არჩევა
ოქტომბერი	ლეგიტიმური ინტერესის შესახებ სახელმძღვანელო რეკომენდაციები და მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს პირველი შეხვედრა იმ ქვეყნების პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებთან,

	რომლებსაც მიღებული აქვთ შესაბამისობის გადაწყვეტილებები დასკვნა 22/2024 გარკვეული ვალდებულებების შესახებ, რომლებიც დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების მიერ ქვედამუშავებაზე უფლებამოსილ პირებზე დაყრდნობით არის მიღებული
ნოემბერი	ღონისძიებები ხელოვნური ინტელექტისა და „თანხმობა ან გადახდა“ მოდელების შესახებ
დეკემბერი	მოსაზრება 28/2024 ხელოვნური ინტელექტის მოდელების შესახებ

შესავალი

მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ (EDPB) 2024 წელს კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი ერთგულება იმ საკითხების მიმართ, რომლებიც გულისხმობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებისა და მონაცემთა დაცვას სწრაფად ცვალებად ციფრულ გარემოში. საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს 2024-2027 წლების ახალი სტრატეგიის მიღება, რომელიც განსაზღვრავს საბჭოს პრიორიტეტულ მიმართულებებს აღსრულების გაძლიერების, ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითად რეგულაციასთან“ შესაბამისობის ხელშეწყობისა და ახალი ტექნოლოგიური გამოწვევების გადაჭრის მიმართულებით. შესაბამისად, აღნიშნული სტრატეგია აგებულია ოთხ მთავარ საფუძველზე: მონაცემთა დაცვის ეფექტური აღსრულება, შესაბამისობის უზრუნველყოფა, თანამშრომლობის გაძლიერება და მონაცემთა დაცვის ხელშეწყობა ციფრულ ეპოქაში.

საანგარიშო პერიოდში მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სახელმძღვანელო რეკომენდაციების მომზადებისა და სამართლებრივი კონსულტაციის გაცემაში, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ თანმიმდევრული გამოყენება ევროპის ეკონომიკურ სივრცეში. ძირითადი რეგულაციის 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე მიღებული თანმიმდევრულობის მოსაზრებების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა აღნიშნული საკითხის მიმართ ინტერესი, რაც ხაზს უსვამს მსგავსი მექანიზმის გამოყენებისთვის თანამშრომლობის ხელშეწყობას.

ორგანიზაციებისთვის მონაცემთა დაცვის ვალდებულებების გააზრებისა და საკანონმდებლო მოთხოვნათა შესრულების მხარდასაჭერად საანგარიშო პერიოდში მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ კიდევ უფრო გააფართოვა საინფორმაციო საქმიანობა. მათ შორის აღსანიშნავია მონაცემთა დაცვის სახელმძღვანელო რეკომენდაცია მცირე ბიზნესისთვის, რომელიც 2023 წელს შემუშავდა და ხელმისაწვდომი გახდა 18 ენაზე. აგრეთვე, შემუშავდა სახელმძღვანელო რეკომენდაციების დასკვნების ახალი სერია, რომლის მიზანია ფართო აუდიტორიისთვის ძირითადი რეგულაციის კრიტიკულად მნიშვნელოვანი თემებისა და მისი თანმდევი სამართლებრივი შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

პარალელურად, მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ აქტიურად დაიწყო ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა ევროკავშირის ორგანოებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან, მათ შორის ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის ოფისთან და ციფრული ბაზრის შესახებ სამართლებრივი აქტის საფუძველზე მოქმედ მაღალი დონის ჯგუფთან. განხორციელებული მოქმედებები

ადასტურებს საბჭოს მზარდ როლს მონაცემთა დაცვის საერთო ღირებულებების ჩამოყალიბებაში სულ უფრო მეტად ურთიერთდაკავშირებულ, ცვალებად და რეგულირებად გარემოში.

1. მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს სამდივნო

2024 წელს მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს სამდივნომ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საქმიანობა და შესაძლებლობები, რათა ეფექტურად ეპასუხა მის წინაშე დასმული ამოცანებისა და რთული სამართლებრივი საკითხებისთვის სულ უფრო ცვალებად სივრცეში, რითაც გაძლიერდა საბჭოს, როგორც გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს სტატუსი და დანიშნულება მონაცემთა დაცვის საკითხებში.

სამდივნო უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს ყველა საქმიანობის ყოვლისმომცველ ანალიტიკურ, ადმინისტრაციულ და სტრატეგიულ მხარდაჭერას. ხელს უწყობს თანმიმდევრული მოსაზრებებისა და სახელმძღვანელო რეკომენდაციების შედგენას და საბჭოს წინაშე არსებული დავების მართვას, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს ყველა მოქმედების მტკიცე მხარდაჭერას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამდივნოს საქმიანობის ციფრული ტრანსფორმაცია და შიდა საინფორმაციო სისტემების გაუმჯობესება. შიდა საინფორმაციო სისტემა რჩება ძირითად მოდელად, რომელიც უზრუნველყოფს წლიურად 5644-ზე მეტი პროცედურის განხორციელებასა და აღრიცხვას. საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა სისტემაში განხორციელებული მოქმედებების მნიშვნელოვანი ზრდა წინა წლებთან შედარებით. დაინერგა ახალი ცენტრალიზებული სასწავლო რესურსები და ვიდეო სახელმძღვანელოები, რამაც გაამარტივა მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს ციფრულ სერვისებზე წვდომა და გააუმჯობესა მათი ეფექტური გამოყენება მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებისა და დაინტერესებული პირებისთვის. საანგარიშო პერიოდში სამდივნო მხარს უჭერდა მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს ტრანსსასაზღვრო რეგულირების მიმართულებას, მჭიდროდ თანამშრომლობდა ევროკავშირის შემდეგ ორგანოებთან - ევროპის მონაცემთა ინოვაციების საბჭოსა და ციფრული ბაზრის შესახებ მაღალი დონის ჯგუფთან (DMA).

ამაღლდა სამდივნოს როლი კოორდინირებული ზედამხედველობის კომიტეტის (CSC) საქმიანობის მხარდაჭერაში, რადგან გაფართოვდა აღნიშნული კომიტეტის ამოცანები და მიზნები, განსაკუთრებით კრიტიკული და მასშტაბური IT

სისტემების, ვიზების საინფორმაციო სისტემის (VIS) და ევროპის სამოგზაურო ინფორმაციისა და ავტორიზაციის სისტემის (ETIAS) ზედამხედველობისთვის.

საანგარიშო პერიოდში, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დაცვით, სამდივნომ მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს დოკუმენტებზე საჯარო წვდომის 38 მოთხოვნას უპასუხა და წლის განმავლობაში 530-ზე მეტი შეხვედრა გამართა.

მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს სამდივნომ მხარი დაუჭირა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ ეფექტურ აღსრულებას და ევროპის მასშტაბით გააძლიერა თანამშრომლობა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დასაცავად.

2. მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს აქტივობები 2024 წელს

2024 წელს მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ მნიშვნელოვნად გააძლიერა თავისი როლი მონაცემთა დაცვის წესების თანმიმდევრული განმარტებისა და მტკიცე აღსრულების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. სწრაფი ტექნოლოგიური განვითარებისა და მზარდი ციფრული გამოწვევების ფონზე, საბჭოს ხელმძღვანელობითა და მუშაობით არაერთი შემთხვევა მოწესრიგდა ან დაიწყო მუშაობა კონკრეტული შემთხვევების შეფასებაზე, რომლებიც მონაცემთა დაცვის ახალ გამოწვევებს უკავშირდებოდა. საანგარიშო წლის განმავლობაში საბჭომ მიიღო თანმიმდევრულობის მოსაზრებები, ყოვლისმომცველი მითითებები და განცხადებები საკანონმდებლო ცვლილებებზე. განხორციელებულმა მოქმედებებმა ჩამოაყალიბა საერთო ხედვა ევროპის მონაცემთა დაცვის რეგულირებითი გარემოს შესახებ და განამტკიცა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და მონაცემთა დაცვა.

2.1 თანმიმდევრული მოსაზრებები

ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 64-ე მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებით 2024 წელს მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ მიიღო 20 მოსაზრება. ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 64-ე მუხლის პირველი პუნქტი ეხება სავალდებულო კორპორატიული წესების (BCR) დამტკიცებას მონაცემთა უსაფრთხო საერთაშორისო გადაცემის ხელშეწყობისთვის მრავალპროფილურ კომპანიებში. გარდა ამისა, სერტიფიცირების ორგანოებისა და აკრედიტაციის მოთხოვნების პროექტებთან დაკავშირებით საბჭომ ჩამოაყალიბა განმარტებები, რომელთა მიზანს ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი

რეგულაციით“ განსაზღვრული სტანდარტების ერთგვაროვანი ინტერპრეტაცია და პრაქტიკული გამოყენების გაძლიერება წარმოადგენდა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში.

ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 64-ე მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით, 2024 წელს, მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ მიიღო 8 მოსაზრება, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- მოსაზრება 04/2024 დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ძირითადი დაწესებულების ცნების შესახებ, რომელიც განმარტავს კრიტერიუმებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ძირითადი დაწესებულების დაფუძნებისა და განსაზღვრისთვის ევროკავშირში. აღნიშნულის მიზანია, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებმა ზუსტად განსაზღვრონ იურისდიქცია და თანმიმდევრულად განახორციელონ მოქმედებები.
- მოსაზრება 08/2024 მსხვილი ონლაინ პლატფორმების მიერ დანერგილი თანხმობის ან გადახდის მოდელების შესახებ. მასში ხაზგასმით აღინიშნა მოთხოვნები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მომხმარებლების მიერ მოწოდებული თანხმობა იყოს ნებაყოფლობითი და ინფორმირებული.
- მოსაზრება 11/2024 საერთაშორისო საჰაერო სატრანსპორტო საშუალების მგზავრთა ნაკადის გასამარტივებლად სახის ამომცნობი ტექნოლოგიის გამოყენების შესახებ. საბჭოს მიერ ხაზგასმით აღინიშნა შესაბამისობის კრიტერიუმები: გამჭვირვალობა, პროპორციულობა და დაცვის ზომები, რომლებიც საჭიროა ბიომეტრიული მონაცემებისა და მგზავრების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დასაცავად;
- მოსაზრება 22/2024 მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისა და ქვედამუშავებისთვის უფლებამოსილი პირის ვალდებულებების შესახებ;
- მოსაზრება 28/2024 ხელოვნური ინტელექტის მოდელების შესახებ. მოსაზრების თანახმად, ხელოვნური ინტელექტის მოდელის ანონიმურობის შეფასების საკითხი მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების დისკრეციას წარმოადგენს და, შესაბამისად, მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებმა აღნიშნული საკითხი ინდივიდუალური შემთხვევების შეფასების საფუძველზე უნდა განსაზღვრონ. ხელოვნური ინტელექტის სისტემა ანონიმურია, თუ მისი მეშვეობით მაღალი ალბათობით შეუძლებელია: მონაცემთა სუბიექტების პირდაპირ ან არაპირდაპირ იდენტიფიცირება და შეუძლებელია მოდელისათვის კითხვების დასმის შედეგად მიღებული პასუხებისაგან პერსონალური მონაცემების განცალკევება.

2.2 სახელმძღვანელო რეკომენდაციები

მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ მიიღო ოთხი სახელმძღვანელო რეკომენდაცია, რაც უზრუნველყოფს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ორგანიზაციების მხარდაჭერას ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ შესაბამისობის მიღწევასა და შენარჩუნებაში.

- სახელმძღვანელო რეკომენდაციები 01/2023 კანონის აღსრულების დირექტივის (LED) 37-ე მუხლის შესახებ;
- სახელმძღვანელო რეკომენდაციები 02/2023 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციის დირექტივის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედების ფარგლების შესახებ;
- სახელმძღვანელო რეკომენდაციები 01/2024 ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „f“ ქვეპუნქტის საფუძველზე პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ;
- სახელმძღვანელო რეკომენდაციები 02/2024 ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 48-ე მუხლის შესახებ.

ძირითადი რეგულაციის 6(1)(f) მუხლის საფუძველზე პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ 01/2024 სახელმძღვანელო მითითებები ითვალისწინებდა განმარტებებს, მაგალითებს, მეთოდოლოგიებსა და რეკომენდებული დაცვის ზომებს, ლეგიტიმური ინტერესების ბალანსის უზრუნველსაყოფად მონაცემთა სუბიექტების უფლებებთან მიმართებით. ძირითადი რეგულაციის 48-ე მუხლის შესახებ 02/2024 სახელმძღვანელო მითითებებში ყოვლისმომცველად იქნა განხილული ძირითადი რეგულაციის 48-ე მუხლის შესაბამისად ტრანსსასაზღვრო მონაცემთა გადაცემის საკითხები. დეტალურად აღიწერა სტანდარტები და მექანიზმები, რომლებიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო ამ პროცესში. გარდა ამისა, საბჭომ საჯარო კონსულტაციების შემდეგ მიიღო ორი დამატებითი სახელმძღვანელო რეკომენდაცია, რითაც გაამყარა თავისი როლი გამჭვირვალობისა და მრავალმხრივი თანამშრომლობის მიმართ. ამ მიდგომამ გააუმჯობესა სახელმძღვანელო დოკუმენტების პრაქტიკული გამოყენებადობა და ხელი შეუწყო ბიზნეს ორგანიზაციებს ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციასთან“ თავიანთი მოქმედებების შესაბამისობაში.

2.3 განცხადებები საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ

მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ გამოაქვეყნა ექვსი განცხადება საკანონმდებლო სიახლეების შესახებ:

- განცხადება 1/2024 საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, შემდგომში წინადადება, რომელიც ადგენს ბავშვთა სექსუალური ძალადობის პრევენციისა და მასთან ბრძოლის წესებს;
- განცხადება 2/2024 ფინანსურ მონაცემებზე წვდომისა და გადახდების შესაძლებლობების შესახებ;
- განცხადება 3/2024 პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების როლის შესახებ „ხელოვნური ინტელექტის აქტის“ ჩარჩოში;
- განცხადება 4/2024 ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ აღსრულების დამატებითი წესების მომწესრიგებელი სიახლეების შესახებ;
- განცხადება 5/2024 სამართალდამცავი ორგანოებისთვის მონაცემებზე ეფექტური წვდომის უზრუნველსაყოფად;
- განცხადება 6/2024 ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მეორე ანგარიშში გაცხადებული ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ხელშეწყობის შესახებ.

2.4 დაინტერესებულ პირებთან კონსულტაცია

2024 წელს მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ გააგრძელა თანამშრომლობა დაინტერესებულ პირებთან, რათა გაეძლიერებინა და მეტად გამოეკვეთა სახელმძღვანელო პრინციპების გამჭვირვალობა, სიცხადე და ეფექტურობა. საბჭომ საანგარიშო წლის განმავლობაში გამართა კონსულტაციები და შეხვედრები. აღსანიშნავია ყოველწლიური გამოკითხვა, რომელიც უკვე მეშვიდე წელია ხორციელდება ძირითადი რეგულაციის 71-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, მიღებული შედეგების გათვალისწინებით კი საბჭო უზრუნველყოფს სახელმძღვანელო რეკომენდაციების შემუშავებასა და მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევას.

გარდა ამისა, საბჭო აქტიურად ნერგავს საერთო თანამშრომლობის ღია ფორმატს, სადაც სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ერთობლივად მსჯელობენ არსებულ და სამომავლო გამოწვევებზე, რაც შემდგომში აისახება სახელმძღვანელო რეკომენდაციებსა და დოკუმენტებში. დიალოგისა და ურთიერთგაგების ხელშეწყობა კვლავ რჩება საბჭოს პრიორიტეტად.

ამავდროულად, საბჭომ დაიწყო სახელმძღვანელო რეკომენდაციებისა და დოკუმენტების თანმხლები შემაჯამებელი დასკვნების გამოცემა, რაც მიზნად ისახავს დაინტერესებული პირების საჭიროებების დაკმაყოფილებას ძირითადი მასალის გამარტივებითა და მოკლედ გადმოცემით. საანგარიშო პერიოდში საბჭო

ღიად ადასტურებს მზაობას დიალოგისა და ფართო თანამშრომლობის მიმართულებით.

2.5 მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს წარმოდგენა მსოფლიოში

2024 წელს მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ფორუმებში, რამაც ხელი შეუწყო სტრატეგიულ თანამშრომლობას მრავალ საკითხში - მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სფეროებში. საანგარიშო წლის განმავლობაში მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს წარმომადგენლობამ 34 მაღალი დონის საერთაშორისო შეხვედრაში მიიღო მონაწილება.

3. თანამშრომლობა აღსრულების სფეროში და აღსრულება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების მიერ

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოები კვლავაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მონაცემთა დაცვისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რაც საანგარიშო პერიოდში გულისხმობდა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ თანმიმდევრულ და ეფექტურ აღსრულებას. საბჭომ უზრუნველყო მიზნობრივი მხარდაჭერა აღსრულების საკითხებში.

3.1 მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს აქტივობები ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ აღსრულების მხარდასაჭერად და თანამშრომლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებს შორის

საბჭომ გააძლიერა მუშაობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებს შორის თანამშრომლობის ახალი ფორმატის ჩამოსაყალიბებლად საჭირო მიზნობრივი ინიციატივების მეშვეობით და დაიწყო ერთობლივი მოქმედება, რომელიც ორიენტირებულია მონაცემთა წვდომის უფლებაზე. გარდა ამისა, საზედამხედველო ორგანოებისათვის შესაბამისი თემების შეთავაზებით ექსპერტთა დამხმარე ჯგუფმა (SPE) აღსრულების თემასთან დაკავშირებით გააძლიერა საზედამხედველო ორგანოებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები. 2024 წელს საბჭომ ხელი მოაწერა თანამშრომლობის მემორანდუმს ორგანიზაცია PEReN-თან, რომელიც არის უწყებათაშორისი ოფისი და მოქმედებს საფრანგეთის ეკონომიკის, კულტურისა და ციფრული ტექნოლოგიების სამინისტროს ერთობლივი უფლებამოსილების ქვეშ. ეს

შეთანხმება მნიშვნელოვანია ტექნიკური თანამშრომლობის გაძლიერების კუთხით, რათა მოგვარდეს მონაცემთა დაცვის სფეროში არსებული გამოწვევები. აგრეთვე, შეიქმნა ChatGPT-ის სამუშაო ჯგუფი, რომელიც წარმოშვა თანამშრომლობის საჭიროებამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ასევე, მისი საჭიროება განსაზღვრა ძირითადი რეგულაციის თანმიმდევრული განხორციელების საკითხმა და ChatGPT-ის საქმიანობასთან დაკავშირებული უნიკალური რისკების მოგვარების აუცილებლობამ.

3.2 თანამშრომლობა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ ფარგლებში

საანგარიშო პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებმა განახორციელეს ეფექტური თანამშრომლობა შიდა საინფორმაციო სისტემის (IMI) მეშვეობით, სულ 982 შემთხვევაში, რომელთაგან 485 შემთხვევაში მიღებული იქნა საბოლოო გადაწყვეტილება.

3.3 სავალდებულო გადაწყვეტილებები

2024 წელს საბჭოს არ მიუღია მბოჭავი გადაწყვეტილება ძირითადი რეგულაციის 65-ე და 66-ე მუხლების შესაბამისად. ასეთი გადაწყვეტილებების არარსებობა ადასტურებს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ეფექტურობას.

3.4 გადაწყვეტილებათა მიმოხილვა

გადაწყვეტილებათა მიმოხილვის სვეტი წარმოადგენს კონკრეტულ თემაზე ერთიანი პროცედურით მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზსა და მიმოხილვას, რომლის მიზანია პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებსა და ფართო საზოგადოებას შეუქმნას წარმოდგენა კონკრეტული შემთხვევების სამართლებრივი შედეგების შესახებ.

3.5 წევრ სახელმწიფოთა ეროვნული გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებულია შესაბამისი უფლებამოსილების გამოყენებით

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოები აქტიურად იყენებდნენ თავიანთ უფლებამოსილებებს, რათა უზრუნველეყოთ ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ შესაბამისობა წევრ სახელმწიფოებში.

ამ მიმართულებით განხორციელდა მოქმედებები საქმეთა შესწავლის, დამუშავების შეზღუდვის, აკრძალვებისა და დაჯარიმების მიმართულებით.

2024 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებმა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ დარღვევისთვის ჯამში 1.2 მილიარდ ევროზე მეტი ჯარიმა დააკისრეს.

საზედამხედველო ორგანო	**ჯარიმის რაოდენობა**	**ოდენობა ევროში**
ავსტრია	63	1 682 888
ბელგია	8	708 371
ბულგარეთი	25	159 885
ხორვატია	38	552 200
კვიპროსი	22	133 900
ჩეხეთის რესპუბლიკა	18	13 882
დანია	4	298 657
ესტონეთი	9	164 100
ფინეთი	3	4 206 000
საფრანგეთი	87	55 212 400
გერმანია	416	13 802 044
საბერძნეთი	22	4 301 249
უნგრეთი	26	853 788
ისლანდია	1	9 961
ირლანდია	7	652 029 500
იტალია	140	145 332 449
ლატვია	14	6 150
ლიხტენშტეინი	3	22 911
ლიეტუვა	13	2 423 971
ლუქსემბურგი	1	2 300
მალტა	3	18 000
ნიდერლანდები	16	328 030 000
ნორვეგია	4	63 000
პოლონეთი	25	3 053 976
პორტუგალია	23	138 375
რუმინეთი	83	371 116
სლოვაკეთი	38	85 200
სლოვენია	5	51 000

ესპანეთი	281	35 592 200
შვედეთი	6	5 280 000
ჯამი		1 254 684 666

3.6 პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა გადაწყვეტილებების სტატისტიკური მიმოხილვა

სახელმწიფო	**მიღებული განცხადება**	**დაიწყო საქმის შესწავლა**
ავსტრია	3 491	647
ბელგია	469	130
ბულგარეთი	824	968
ხორვატია	1280	623
კვიპროსი	513	44
დანია	1 777	518
საფრანგეთი	17 193	321
ისლანდია	116	14
ლატვია	693	974
ლიხტენშტეინი	50	9
ლუქსემბურგი	516	29
მალტა	1 138	793
ნიდერლანდები	6 232	22
ნორვეგია	902	18
პოლონეთი	8 056	41
პორტუგალია	1 221	1 670
სლოვენია	184	384
ესპანეთი	18 841	311
შვედეთი	3 814	418